<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-13 მუხლის:

ა) 3^1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^1. ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება ქვეყნდება სასამართლოს ვებგვერდზე მთლიანად, ამ მუხლის 3^2 პუნქტის დებულების შესაბამისად, ხოლო დახურულ სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების შემთხვევაში სასამართლოს ვებგვერდზე ამ გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი ქვეყნდება. ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაში შეტანილი პირის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების საკითხი წყდება ამ მუხლის 3^2 – 3^5 პუნქტების შესაბამისად.“;

ბ) 3^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს 3^2 – 3^8 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^2. გამჟღავნებას ექვემდებარება ნებისმიერი პერსონალური მონაცემი, რომლის გაუმჟღავნებლობის შესახებ სასამართლოს არ გამოუტანია განჩინება ამ მუხლით დადგენილი წესით.

3^3. პერსონალური მონაცემის სუბიექტს, გადაწყვეტილების გამოტანიდან 3 დღის ვადაში, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში შეუძლია შეიტანოს დასაბუთებული შუამდგომლობა პერსონალური მონაცემის (მონაცემების) გაუმჟღვანებლობის მოთხოვნით. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. შუამდგომლობაში უნდა აღინიშნოს:

ა) შუამდგომლობის ავტორის სახელი, გვარი, საპროცესო მდგომარეობა (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი, ბრალდებული, დაზარალებული, მოწმე), მისამართი, ტელეფონის ნომერი;

ბ) გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი;

გ) პერსონალური მონაცემი (მონაცემები), რომლის გაუმჟღავნებლობასაც ითხოვს შუამდგომლობის ავტორი;

დ) დასაბუთება, რომ მითითებული პერსონალური მონაცემი შეეხება:

დ.ა) შუამდგომლობის ავტორის ჯანმრთელობის მდგომარეობას ან/და მისი პირადი ცხოვრების ინტიმურ მხარეს და მისი გამჟღავნება განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას მოახდენს შუამდგომლობის ავტორის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, პირად ურთიერთობებზე ან/და საქმიან რეპუტაციაზე;

დ.ბ) შუამდგომლობის ავტორის არასრულწლოვან ოჯახის წევრს და პერსონალური მონაცემის გამჟღავნება ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

3^4. ამ მუხლის 3^3 პუნქტში მითითებულ შუამდგომლობაზე გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს, შუამდგომლობის მიღებიდან 3 დღის ვადაში, ზეპირი მოსმენის გარეშე, გამოაქვს დასაბუთებული განჩინება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა ამ მუხლის 3^3 პუნქტის „დ.ა“ და „დ.ბ“ ქვეპუნქტებში მითითებული გარემოებები.

3^5. შუამდგომლობის განხილვისას სასამართლომ ასევე უნდა იმსჯელოს, არსებობს თუ არა მოცემულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, 3^3 პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტში მითითებული გარმოებების არსებობის მიუხედავად, გადაწონის მონაცემების გაუმჟღავნებლობის ინტერესს. ასეთი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, თუ პერსონალური მონაცემი შეეხება:

ა) „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საჯარო პირს;

ბ) მოვლენას, რომლისკენაც მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

3^6. სასამართლოს განჩინება შუამდგომლობის ავტორს უნდა ჩაბარდეს მისი გამოტანიდან არაუმეტეს 3 დღის ვადაში. თუ ამ ვადის განმავლობაში, გაგზავნილი სატელეფონო შეტყობინების მიუხედავად, შუამდგომლობის ავტორი არ გამოცხადდება სასამართლოში განჩინების ჩასაბარებლად, განჩინება ჩაბარებულად ჩაითვლება.

3^7. შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორს, სასამართლოს განჩინების ჩაბარებიდან 3 დღის ვადაში, შეუძლია განჩინების გამომტან სასამართლოში შეიტანოს საჩივარი, რომელიც გადაეგზავნება გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს ზემდგომ სასამართლოს. ზემდგომი სასამართლო საჩივარს განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე, საჩივრის მისთვის გადაცემიდან 3 დღის ვადაში. ზემდგომი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

3^8. ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო განჩინება, რომელიც არ ექვემდებარება სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებას, დაინტერესებულ პირს გადაეცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით, ამ მუხლის დებულებების გათვალისწინებით.“.

2. 23-ე მუხლის მე-5 - მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სააპელაციო სასამართლოს თითოეულ პალატას და საგამოძიებო კოლეგიას ჰყავთ თავმჯდომარეები. სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეებს შესაბამისი პალატისა და კოლეგიის შემადგენლობიდან 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე პალატის და კოლეგიის მოსამართლეები. სააპელაციო სასამართლოს პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარეების კანდიდატების დასახელების უფლება აქვს შესაბამისი პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის ნებისმიერ მოსამართლეს. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს, ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს. ერთი და იგივე პირი პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორჯერ. სააპელაციო სასამართლოს პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს ამ სასამართლოს ერთ-ერთი მოსამართლე, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარის დავალების არარსებობისას – ის მოსამართლე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს.

6. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს ამავე სასამართლოს მოსამართლეებისგან 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე სასამართლოს მოსამართლეები. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს სააპელაციო სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც დააგროვებს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ სააპელაციო სასამართლოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს, ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს. ერთი და იგივე პირი სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორჯერ.

7. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს, პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის არჩევამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, სააპელაციო სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამ ვადაში შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს თავმჯდომარის არჩევა, ხოლო პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის მოსამართლეებმა - პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის არჩევა, რის შემდეგაც ამ პუნქტის შესაბამისად დროებით დანიშნულ პირებს უწყდებათ უფლებამოსილება.

8. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების

შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტა;

გ) დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების სახით სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება;

დ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის გასვლა.“.

3. 26-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**26. სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება**

სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დროებით არყოფნისას, მისივე დავალებით სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს სააპელაციო სასამართლოს ერთ-ერთი პალატის ან საგამოძიებო კოლეგიის თავმჯდომარე. სასამართლოს თავმჯდომარის დავალების არარსებობისას მის მოვალეობას ასრულებს ის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარე, რომელსაც მოსამართლედ მუშაობის უფრო მეტი გამოცდილება აქვს.“.

4. 30-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასამართლო კოლეგიას ჰყავს თავმჯდომარე. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარეს ამ კოლეგიის შემადგენლობიდან 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე კოლეგიის მოსამართლეები. კოლეგიის თავმჯდომარის კანდიდატების დასახელების უფლება აქვს შესაბამისი კოლეგიის ნებისმიერ მოსამართლეს. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კენჭისყრაში მონაწილე კოლეგიის წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ კოლეგიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს, ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს. ერთი და იგივე პირი კოლეგიის თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორჯერ.“.

5. 32-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარეს ამავე სასამართლოს მოსამართლეებისგან 3 წლის ვადით, ფარული კენჭისყრით ირჩევენ ამავე სასამართლოს მოსამართლეები. კანდიდატის დასახელების უფლება აქვს რაიონული (საქალაქო)

სასამართლოს ნებისმიერ მოსამართლეს. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც დააგროვებს კენჭისყრაში მონაწილე წევრთა ხმების უმრავლესობას, მაგრამ არანაკლებ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. თუ კენჭისყრის შედეგად ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო ვერც ერთმა კანდიდატმა, იმ ორ კანდიდატს, რომლებმაც სხვებთან შედარებით მეტი ხმა მიიღეს, ხელახლა ეყრება კენჭი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მეორე კანდიდატზე მეტ ხმას მიიღებს. ერთი და იგივე პირი რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარედ არ შეიძლება აირჩეს ზედიზედ ორჯერ.“;

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა 3-ზე ნაკლებია, სასამართლოს თავმჯდომარედ რიგრიგობით, 3 წლის ვადით, ინიშნებიან ამ სასამართლოს მოსამართლეები.“;

გ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის, ხოლო იმ სასამართლოში, სადაც შექმნილია სასამართლო კოლეგიები, – სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარის ან კოლეგიის თავმჯდომარის არჩევამდე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან კოლეგიის თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება შეიძლება დაეკისროს ამავე სასამართლოს ერთ-ერთ მოსამართლეს არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამ ვადაში რაიონული (საქალაქო) სასამართლოს ან კოლეგიის მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს ან კოლეგიის თავმჯდომარის არჩევა, რის შემდეგაც ამ პუნქტის შესაბამისად დროებით დანიშნულ პირებს უწყდებათ უფლებამოსილება.“;

დ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

6. 34^1 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ადგენს პირის მიერ შერჩევის პროცედურაში მონაწილეობისათვის წარსადგენი განცხადების ფორმას და თანდართული დოკუმენტების ნუსხას. პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები (მათ შორის, ავტობიოგრაფია) უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას მის მიერ მოსამართლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე, აგრეთვე პირის თანხმობას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის, პირის პერსონალური მონაცემების) ამ კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოძიებაზე/გადამოწმებაზე და საქართველოს პარლამენტისთვის გადაცემაზე/გასაჯაროებაზე.“;

ბ) მე-8 - მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. კანდიდატებად რეგისტრირებულმა პირებმა აღნიშნული საჩივრის განხილვის ვადის გასვლიდან 5 სამუშაო დღეში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უნდა წარუდგინონ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული ცნობა თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის შესახებ და ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ. ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობა კანდიდატის მიერ წარდგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე. თუ კანდიდატი დადგენილ ვადაში არ წარადგენს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის წარდგენის შესახებ ცნობას ან ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობას, მისი კანდიდატად რეგისტრაცია უქმდება.

9. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული საჩივრის განხილვის ვადის გასვლიდან არაუადრეს 10 და არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო იწყებს კანდიდატებად რეგისტრირებული პირების საჯარო მოსმენას. კანდიდატების მოსმენის დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ყველა წევრს შესასწავლად გადაეცემა კანდიდატების შესახებ ამ კანონით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია.

10. კანდიდატები საჯარო მოსმენაზე ინდივიდუალურად წარდგებიან. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებს უფლება აქვთ, კითხვა დაუსვან თითოეულ კანდიდატს. კანდიდატების საჯარო მოსმენა უნდა გაიმართოს ყველა კანდიდატის მიმართ თანასწორი მოპყრობის პრინციპის დაცვით. კანდიდატების საჯარო მოსმენა იმართება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

11. კანდიდატების საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ 5 სამუშაო დღის ვადაში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრები ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს − ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. შეფასების შედეგები შეიტანება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს თითოეული წევრის მიერ შევსებულ შეფასების ფურცელში. ამასთანავე, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით/36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს, რაც ასევე შეიტანება შეფასების ფურცელში. შეფასების ფურცელში მიეთითება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა. თუ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრი ამ პუნქტის შესაბამისად არ შეაფასებს ყველა კანდიდატს და შეფასების ფურცელს არ გადასცემს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს, ითვლება, რომ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ეს წევრი არ მონაწილეობს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურაში, ამასთანავე, მის მიერ განხორციელებული ყველა კანდიდატის შეფასების

შედეგები უქმდება. თუ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატს გადასცემს კანდიდატის არასრულ შეფასებას ან კანდიდატის შეფასებას დასაბუთების გარეშე, საბჭოს აპარატი საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ამ წევრს აცნობებს აღნიშნული ხარვეზის თაობაზე. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრს შეუძლია ეს ხარვეზი 2 სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას. ხარვეზის ამ ვადაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ითვლება, რომ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ეს წევრი არ მონაწილეობს ამ პუნქტით გათვალისწინებულ პროცედურაში, ამასთანავე, მის მიერ განხორციელებული ყველა კანდიდატის შეფასების შედეგები უქმდება. შეფასების ფურცლები საჯაროა და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა ვინაობის მითითებით ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

12. კანდიდატების შეფასების პროცესის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო ადგენს და საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარუდგენს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენ კანდიდატთა სიას, რომელსაც თან დაერთვება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს თითოეული წევრის დასაბუთება სიაში შეტანილ თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლეობის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე სიაში შეიტანოს ორი კანდიდატი. ამასთანავე, კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება სიაში, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ორმა მესამედმა მაინც მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. თუ რომელიმე გამოცხადებულ ვაკანსიაზე მხოლოდ ერთია ისეთი კანდიდატი, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სიაში მხოლოდ ეს ერთი კანდიდატი იქნება შეტანილი. თუ სიაში შესატანი კანდიდატების გამოვლენისას აღმოჩნდა, რომ რომელიმე გამოცხადებულ ვაკანსიაზე ორზე მეტია ისეთი კანდიდატი, რომელიც ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სიაში შეიტანება ის ორი კანდიდატი, რომელმაც კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას უკეთესი შედეგები მიიღეს. თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით ასეთ კანდიდატთა მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი თანაბარია, მათ შორის უპირატესობა მიენიჭება იმ ორ კანდიდატს, რომლებიც საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უკეთესად შეაფასეს, ხოლო თუ ეს შეფასებებიც თანაბარია, – იმ ორ კანდიდატს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს.“;

გ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს 12^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12^1. ამ მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად შედგენილი სია და თანდართული საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა დასაბუთებები სიის შედგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება კანდიდატთა შერჩევის ამ ეტაპზე მონაწილე ყველა კანდიდატს. თითოეულ კანდიდატს უფლება აქვს, სიის და თანდართული დასაბუთებების ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აღნიშნული სია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაასაჩივროს, თუ მას მიაჩნია, რომ:

ა) კანდიდატების შერჩევის პროცესში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო;

ბ) კანდიდატების შერჩევის პროცესში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მის შეფასებას, არსებითად მცდარია და ამის დასადასტურებლად კანდიდატმა სათანადო მტკიცებულებები წარადგინა;

ე) კანდიდატების შერჩევის პროცესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით ჩატარდა, რასაც შეეძლო საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა მოეხდინა.“;

დ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ მუხლის მე-12 პუნქტით დადგენილი პროცედურის დასრულებიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ღია სხდომაზე განიხილავს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეულ კანდიდატთა სიას და თანდართულ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა დასაბუთებებს, აგრეთვე ამ მუხლის 12^1 პუნქტში მითითებულ საჩივრებს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ღია კენჭისყრით, მოსამართლეთა წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით და არამოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით დაადგენს, რომ ამ მუხლის 12^1 პუნქტის შესაბამისად შემოტანილი საჩივარი საფუძვლიანია, იგი იღებს დადგენილებას საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ შემოტანილი სიის კორექტირების შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ღია კენჭისყრით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის მიზნით, სათითაოდ კენჭს უყრის საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ წარმოდგენილ სიაში, ან სიის კორექტირების შემთხვევაში, - კორექტირებულ სიაში შეტანილ კანდიდატებს. კანდიდატებს კენჭი შემდეგი წესის დაცვით ეყრებათ: პირველ რიგში, კენჭი ეყრება კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ამ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატს, შემდეგ კი იმავე პრინციპის დაცვით, თანამიმდევრობით ეყრებათ კენჭი დანარჩენ კანდიდატებს. თუ აღმოჩნდა, რომ ორი ან ორზე მეტი კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მათ მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი თანაბარია, კენჭისყრის რიგითობის განსაზღვრისას მათ შორის უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მეტმა წევრმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უკეთესად შეაფასა, ხოლო თუ ეს შეფასებებიც თანაბარია, – იმ კანდიდატს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. კანდიდატი

საქართველოს პარლამენტს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად წარედგინება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი და არამოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია დაასაბუთოს მისი არჩევანი თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით. საქართველოს პარლამენტს კანდიდატები ერთიანად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით წარედგინება. ეს წარდგინება, აგრეთვე ამ პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრის შედეგები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების დასაბუთებები საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება.“.

ე) მე-16 პუნქტის შემდეგ დაემატოს 16^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„16^1. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესრულებისას ინტერესთა შეუთავსებლობის გამორიცხვის მიზნით გამოიყენება ამ კანონის 35^3 მუხლით დადგენილი წესი.“;

ვ) მე-18 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„18. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის იმ კანდიდატის წარდგენა, რომელმაც კენჭისყრის შედეგად ვერ მიიღო საქართველოს პარლამენტის წევრთა საჭირო რაოდენობის ხმები, ერთი და იმავე მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადის ფარგლებში არ შეიძლება.“.

7. 34^2 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ამ მუხლის შესაბამისად მოძიებული ინფორმაცია საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ კანდიდატების შესაფასებლად გამოიყენება.“;

ბ) მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიების შედეგების საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებისთვის წარდგენისთანავე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებულია აცნობოს კანდიდატებს ინფორმაციის მოძიების დასრულების შესახებ და უზრუნველყოს საბჭოში არსებული ინფორმაციის თითოეული კანდიდატისათვის ხელმისაწვდომობა. მას შემდეგ, რაც ინფორმაციის მოძიების შედეგები კანდიდატისათვის ხელმისაწვდომი გახდება, კანდიდატს უფლება

აქვს, 2 სამუშაო დღის ვადაში წერილობით მიმართოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს, წარადგინოს დამატებითი ინფორმაცია ან/და სათანადო წესით გააბათილოს მის შესახებ მოძიებული მონაცემები. კანდიდატს ასევე უფლება აქვს, კენჭისყრის დასრულების შემდეგ ნებისმიერ დროს გაეცნოს აღნიშნულ ინფორმაციას. ამ ინფორმაციის წყარო კონფიდენციალურია. კანდიდატი აღნიშნულ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საამისოდ გამოყოფილ ადგილას ეცნობა.“.

8. 34^3 მუხლის:

ა) სათაური და პირველი - მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 34^3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესში მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გასაჩივრება

1. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილე კანდიდატს უფლება აქვს, ამ კანონის 34^1 მუხლის მე-13 ან მე-15 პუნქტის შესაბამისად მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაასაჩივროს, თუ იგი მონაწილეობდა იმავე პუნქტით განსაზღვრულ კანდიდატების შერჩევის შესაბამის ეტაპზე და მიაჩნია, რომ:

ა) კანდიდატების შერჩევის პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო;

ბ) კანდიდატების შერჩევის პროცესში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც ამ განკარგულებას/წარდგინებას საფუძვლად დაედო, არსებითად მცდარია და ამის დასადასტურებლად კანდიდატმა სათანადო მტკიცებულებები წარადგინა;

ე) კანდიდატების შერჩევის პროცესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით ჩატარდა, რასაც შეეძლო საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა მოეხდინა.

2. საჩივარი ამ კანონის 34^1 მუხლის მე-13 ან მე-15 პუნქტით განსაზღვრული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში წარედგინება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიღებულ საჩივარს დაუყოვნებლივ გადასცემს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატას. აღნიშნული საჩივრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის შემთხვევაში ამ კანონის 34^1

მუხლით განსაზღვრული პროცედურა ჩერდება, ვიდრე უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა გადაწყვეტილებას არ მიიღებს.“;

ბ) მე-10 - მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა საქმის განხილვის შედეგად იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების უცვლელად დატოვების თაობაზე;

ბ) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე.

11. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წარდგინების გასაჩივრების საფუძვლის დადგენა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმების საფუძველი, თუ საკვალიფიკაციო პალატას მიაჩნია, რომ შესაბამისმა დარღვევამ საბოლოო შედეგზე გავლენა მოახდინა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არსებითად არასწორი წარდგინების მიღება გამოიწვია.

12. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ კანონის 34^1 მუხლის მე-11 - მე-12 პუნქტებით დადგენილი წესით გადაისინჯება შესაბამისი კანდიდატის შეფასება და იმავე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მიიღებს ხელახალ წარდგინებას, თუ უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ გააუქმა ამ კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება. ამასთანავე, კანდიდატის შეფასების გადასინჯვისას კანდიდატის უფრო დაბალი შედეგით შეფასება დაუშვებელია. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება გავლენას არ ახდენს ამ კანონის 34^1 მუხლის მე-11 - მე-12 პუნქტებით დადგენილი წესით სხვა კანდიდატების შეფასებაზე.“;

გ) მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატოს 12^1 – 12^2 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12^1. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო ხელახლა ახორციელებს მომჩივანი კანდიდატის ამ კანონის 34^1 მუხლის მე-11 - მე-12 პუნქტებით გათვალისწინებულ შეფასებას, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ხელახლა იღებს ამ კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით

გათვალისწინებულ წარდგინებას, ოღონდ იმ წევრის (წევრების) გარეშე, რომლის (რომელთა) მიერ ამ კანონის 34[1] მუხლის 12[1] პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტების ან/და ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო გააუქმა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინება. ასეთ შემთხვევაში, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამი და კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საჭირო კვორუმი გამოითვლება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა იმ რაოდენობიდან, რომელიც დარჩება ასეთი წევრის (წევრების) გამოკლების შედეგად. ასევე, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ ხელახალი წარდგინების მიღებისას საჭირო კვორუმი გამოითვლება წევრის (წევრთა) გამოკლების შემდეგ საბჭოს წევრთა დარჩენილი რაოდენობიდან.

12[2]. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის მიერ ამ კანონის 34[1] მუხლის 12[1] პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტების ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმება, იწვევს ამ კანონით ან/და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ასეთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.“;

დ) მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახალი წარდგინება საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ამ მუხლით დადგენილი წესით. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა საჩივარს განიხილავს მისთვის ამ საჩივრის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაცემიდან 1 კვირის ვადაში, ამავე მუხლით დადგენილი წესით.“;

ე) მე-14 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-15 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. ამ მუხლით დადგენილი წესით საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ სრული ინფორმაცია, აგრეთვე უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილებები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელახალი წარდგინება და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ხელახალი შეფასება ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე და მიეწოდება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას, საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პრეზიდენტს.“.

9. 35-ე მუხლის:

ა) მე-9 - მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. მოსამართლეობის კანდიდატების შეფასებას ახორციელებს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო. კანდიდატები ფასდებიან ამ კანონის 35 [1] მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმებით, მათთან საჯარო გასაუბრების და ამ კანონის 35 [2] მუხლის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე. მოქმედი და ყოფილი მოსამართლეები, რომელთაც გავლილი აქვთ ამ კანონის 36 [4] მუხლით

გათვალისწინებული შეფასების პროცედურა, ფასდებიან ამ კანონის 36 [1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და 36 [2] და 36 [3] მუხლების, 36 [4] მუხლით გათვალისწინებულ საქმეთა შესწავლის, ქულებით შეფასების სისტემის და საჯარო გასაუბრების საფუძველზე.

10. კანდიდატებთან საჯარო გასაუბრების დასრულების შემდეგ, 5 სამუშაო დღის ვადაში, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ყოველი წევრი ავსებს თითოეული მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფურცელს, რომელშიც შეიტანება მოსამართლეობის კანდიდატის ამ კანონის 35[1] და 36 [3] მუხლებით განსაზღვრული კრიტერიუმებით და მახასიათებლებით შეფასების შედეგები. შეფასების ფურცელი უნდა შეიცავდეს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის დეტალურ დასაბუთებას, თუ რატომ იმსახურებს, მისი აზრით, კანდიდატი ამ კანონით დადგენილი კრიტერიუმების და მახასიათებლების შესაბამისად ასეთ შეფასებას. შეფასების ფურცლის ფორმას ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. შეფასების ფურცლები საჯაროა და ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

11. კანდიდატების შეფასების პროცესის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო საქართველოს იუსტიციის საბჭოს წარუდგენს მოსამართლეობის ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნი კანდიდატების სიას, რომელსაც თან დაერთვება ყველა შეფასების ფურცელი. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო უფლებამოსილია მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარსადგენი კანდიდატების სიაში ორი კანდიდატი შეიტანოს. ამასთანავე, კანდიდატი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიტანება სიაში, თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი ქულების მაქსიმალური რაოდენობის არანაკლებ 70 პროცენტია და საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ორმა მესამედმა მაინც მიიჩნია, რომ იგი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. თუ რომელიმე გამოცხადებულ ვაკანსიაზე მხოლოდ ერთია ისეთი კანდიდატი, რომელიც აღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სიაში მხოლოდ ეს ერთი კანდიდატი იქნება შეტანილი. თუ სიაში შესატანი კანდიდატების გამოვლენისას აღმოჩნდა, რომ რომელიმე გამოცხადებულ ვაკანსიაზე ორზე მეტია ისეთი კანდიდატი, რომელიც ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, სიაში შეიტანება ის ორი კანდიდატი, რომელმაც კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას უკეთესი შედეგები მიიღეს. თუ კომპეტენტურობის კრიტერიუმით ასეთ კანდიდატთა მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი თანაბარია, მათ შორის უპირატესობა მიენიჭება იმ ორ კანდიდატს, რომლებიც საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრებმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უკეთესად შეაფასეს, ხოლო თუ ეს შეფასებებიც თანაბარია, – იმ ორ კანდიდატს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა სია საჯაროა და ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებ-გვერდზე.“;

ბ) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს 11[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11[1]. ამ მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად შედგენილი სია და თანდართული საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა შეფასების ფურცლები სიის შედგენიდან 2 სამუშაო დღის ვადაში ეგზავნება კანდიდატთა შერჩევის ამ ეტაპზე მონაწილე ყველა კანდიდატს. თითოეულ კანდიდატს უფლება აქვს, სიის და

თანდართული დასაბუთებების ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, აღნიშნული სია საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში გაასაჩივროს, თუ მას მიაჩნია, რომ:

ა) კანდიდატების შერჩევის პროცესში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრი მიკერძოებული იყო;

ბ) კანდიდატების შერჩევის პროცესში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრმა გადაამეტა საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა კანდიდატის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო მის შეფასებას, არსებითად მცდარია და ამის დასადასტურებლად კანდიდატმა სათანადო მტკიცებულებები წარადგინა;

ე) კანდიდატების შერჩევის პროცესი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით ჩატარდა, რასაც შეეძლო საბოლოო შედეგზე არსებითი გავლენა მოეხდინა.“;

გ) მე-12 - მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი პროცედურის დასრულებიდან არაუადრეს 5 და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ღია სხდომაზე განიხილავს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეულ კანდიდატთა სიას და თანდართულ შეფასების ფურცლებს, აგრეთვე ამ მუხლის 11^1 პუნქტში მითითებულ საჩივრებს. თუ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ღია კენჭისყრით, მოსამართლეთა წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით და არამოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით დაადგენს, რომ ამ მუხლის 11^1 პუნქტის შესაბამისად შემოტანილი საჩივარი საფუძვლიანია, იგი იღებს დადგენილებას საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ შემოტანილი სიის კორექტირების შესახებ.

13. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ღია კენჭისყრით, სათითაოდ კენჭს უყრის საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ წარმოდგენილ სიაში, ან სიის კორექტირების შემთხვევაში, - კორექტირებულ სიაში შეტანილ კანდიდატებს. ამის შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ღია კენჭისყრით, მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, სათითაოდ კენჭს უყრის საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ წარმოდგენილ სიაში, ან სიის კორექტირების შემთხვევაში, - კორექტირებულ სიაში შეტანილ კანდიდატებს. კანდიდატებს კენჭი შემდეგი წესის დაცვით ეყრებათ: პირველ რიგში, კენჭი ეყრება კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამის მიხედვით ამ კანდიდატებს შორის საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატს, შემდეგ კი იმავე პრინციპის დაცვით, თანამიმდევრობით ეყრებათ კენჭი დანარჩენ კანდიდატებს. თუ აღმოჩნდა, რომ ორი ან ორზე მეტი კანდიდატის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას მათ მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამი თანაბარია, კენჭისყრის რიგითობის განსაზღვრისას მათ შორის უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატს, რომელიც საერთაშორისო ექსპერტთა

საზოგადოებრივი საბჭოს მეტმა წევრმა კეთილსინდისიერების კრიტერიუმით უკეთესად შეაფასა, ხოლო თუ ეს შეფასებებიც თანაბარია, – იმ კანდიდატს, რომელსაც სპეციალობით მუშაობის უფრო ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. კანდიდატი მოსამართლედ გამწესდება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი და არამოსამართლე წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედი. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი ვალდებულია დაასაბუთოს მისი არჩევანი თითოეულ კანდიდატთან დაკავშირებით. მოსამართლე თანამდებობაზე გამწესდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებით. ეს დადგენილება, აგრეთვე ამ პუნქტით გათვალისწინებული კენჭისყრის შედეგები, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ კენჭისყრისას დაფიქსირებული გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების დასაბუთებები საბჭოს ვებგვერდზე ქვეყნდება.“.

10. 35^1 მუხლის:

ა) მე-15 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15. კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება ხორციელდება ამ მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების შესაბამისად. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრი იღებს ერთ-ერთ შემდეგ დასკვნას:

ა) მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.“;

ბ) მე-17 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17. ამ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად შეფასებული სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი და ამ კანონის 36^4 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების შესაბამისად შეფასებული სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე გამწესდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს ამ კანონის 35-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.“.

11. 36-ე მუხლის 4^1 – 4^5 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

12. 36^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ გამწესებიდან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ხორციელდება

მოსამართლის საქმიანობის შეფასება. მოსამართლის საქმიანობის შეფასებას ახორციელებს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო. მოსამართლის საქმიანობის შეფასების მიზანია თანამდებობაზე უვადოდ გამწესებული მოსამართლის კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების შემოწმების გზით საზოგადოების წინაშე სასამართლოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა.";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შეფასების დაწყების წინ მოსამართლეს უნდა ეცნობოს შეფასების პროცედურისა და იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მისი ცალკეული კრიტერიუმებით შეფასებისას და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას.".

13. 36^4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლის საქმიანობის შესაფასებლად, საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო, თავის შემადგენლობიდან, წილისყრით შეარჩევს 4 წევრს (შემდგომ – შემფასებლები), რომლებმაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, 4 თვის ვადაში უნდა წარმოადგინონ შესაბამის პერიოდში მოსამართლის საქმიანობის შეფასების ანგარიში. შემფასებლები ვალდებული არიან, ერთმანეთს არ გაუმჟღავნონ შეფასებისას მოპოვებული ინფორმაცია და შეფასების შედეგები. ანგარიშები შესასწავლად გადაეცემათ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს.";

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1^1 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^1. წილისყრის დასრულების შემდეგ შემფასებლების ვინაობა დაუყოვნებლივ ეცნობება შესაფასებელ მოსამართლეს. თუ არსებობს გარემოება, რომელიც ამ შემფასებლის/შემფასებლების ობიექტურობაში, დამოუკიდებლობაში ან/და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის სერიოზულ საფუძველს იძლევა, მოსამართლე უფლებამოსილია, დასაბუთებული შუამდგომლობით მოითხოვოს იმ შემფასებლის/ შემფასებლების აცილება, რომელმაც/რომლებმაც უნდა შეაფასოს/შეაფასონ მისი საქმიანობა. შემფასებლის აცილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცალკე მოსამართლე წევრებისა და ცალკე არამოსამართლე წევრების ხმათა უმრავლესობით. ინტერესთა შეუთავსებლობის არსებობის შემთხვევაში შემფასებელი ვალდებულია თვითაცილება განაცხადოს და მონაწილეობა არ მიიღოს შეფასებაში."

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შემფასებელი უფლებამოსილია მოსამართლის საქმიანობის შეფასებისათვის განკუთვნილ 4-თვიან ვადაში ნებისმიერ დროს განახორციელოს საჭირო ღონისძიებები კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით მოსამართლის შესაფასებლად, მათ შორის, შეისწავლოს საქმეები, მოთხოვნისთანავე მიიღოს როგორც შეფასების პერიოდში, ისე შეფასების პერიოდის დაწყებამდე გამართული სასამართლო სხდომების აუდიო- და ვიდეოჩანაწერები, ამ კანონით დადგენილი წესით მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, სამართლებრივი კონსულტაციისათვის მიმართოს იურიდიული წრეების

წარმომადგენლებს, პირადად შეხვდეს შესაფასებელ მოსამართლეს და სხვა პირებს და დაუსვას კითხვები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მოსაპოვებლად. შემფასებელმა შესაფასებელ მოსამართლეს არ უნდა დაუსვას ისეთი კითხვები, რომლებიც შინაარსობრივად შეიძლება კონკრეტულ საქმეზე ანგარიშის მოთხოვნას უტოლდებოდეს. დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის მოძიება, რომელიც ამ კანონით განსაზღვრული კრიტერიუმებით მოსამართლის შეფასებასთან დაკავშირებული არ არის. მოპოვებული ინფორმაციის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ ამ კანონით განსაზღვრული მიზნებისათვის. ინფორმაციის მოპოვების მეთოდი არ უნდა ხელყოფდეს შესაფასებელი მოსამართლის დამოუკიდებლობას.“;

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა შეფასების შედეგი არ შეიძლება გახდეს მოსამართლის მიერ ამ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების გადასინჯვის საფუძველი.“;

ე) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლის შეფასებისას გაითვალისწინება ამ კანონის 36^3 მუხლით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლები. ამ მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად შემფასებელი იღებს ერთ-ერთ შემდეგ დასკვნას:

ა) მოსამართლე არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.“;

ვ) მე-11 - მე-21 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. მოსამართლის შეფასების თაობაზე მონაცემები შეფასების პროცედურის დასრულებამდე კონფიდენციალურია. მანამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არცერთ წევრს და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის არცერთ თანამშრომელს არ აქვს უფლება, გაამჟღავნოს შეფასების შედეგები.

12. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე აანალიზებს და აჯამებს შეფასების შედეგებს. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მიღებული შეფასებების შეჯერების მიზნით გამოიანგარიშება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების შესაბამისად ოთხივე შეფასების ანგარიშში მითითებული მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი, რის შემდეგაც განისაზღვრება ამ ჯამის პროცენტული სიდიდე კომპეტენტურობის კრიტერიუმისათვის განსაზღვრული ქულების შესაძლო მაქსიმალური რაოდენობის მიმართ.

13. თუ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას არანაკლებ 3 შემფასებელი მიიჩნევს, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს და, ამასთანავე, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებულ ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 70 პროცენტზე მეტია, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას მოსამართლის მიერ დადებითი შეფასების მიღების თაობაზე.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე ჩვეულებრივ აგრძელებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას.

15. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას მოსამართლის მიერ უარყოფითი შეფასების მიღებისა და საკითხის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსათვის გადაცემის თაობაზე, თუ:

ა) შემფასებლებს შორის 3-ზე ნაკლებია მათი რაოდენობა, ვისაც მიაჩნია, რომ მოსამართლე აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს;

ბ) კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის მიერ მოპოვებული ქულათა ჯამი ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 70 პროცენტზე ნაკლებია.

16. ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს მოსამართლესთან გასაუბრებას და ისმენს მის მოსაზრებას შეფასების შედეგების შესახებ. მოსამართლეს უფლება აქვს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წერილობითი ფორმითაც წარუდგინოს თავისი მოსაზრება შეფასების შედეგების თაობაზე, ასევე ზეპირად ან/და წერილობით წარუდგინოს თვითშეფასება, რაც გულისხმობს მოსამართლის განვლილი 5-წლიანი საქმიანობის განმავლობაში, მოსამართლის აზრით, მისი ყველაზე წარმატებული და ყველაზე წარუმატებელი გადაწყვეტილების/გადაწყვეტილებების, აგრეთვე მის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დაშვებული შეცდომების ანალიზის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენას. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად უსმენს შემფასებლებს.

17. შეფასების შედეგების ანალიზისა და მოსამართლესთან გასაუბრების საფუძველზე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე საკითხის ირგვლივ გამართული სათანადო მსჯელობის შედეგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო:

ა) ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით და არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის 12 თვის ვადით საქმეთა განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილებისა და ამავე ვადით მისი იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სპეციალური საკვალიფიკაციო კურსის გავლის მიზნით მივლინების შესახებ;

ბ) ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ კანონის 75^{13} მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

18. ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 12 თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ მოსამართლე განაახლებს საქმეთა განხილვასა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებას. მოსამართლის შემდგომი პერიოდის შეფასებისას ამ მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოების ხელმეორედ დადგომის შემთხვევაში, იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით და

არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით, იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.

19. ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ - „ბ“ ქვეპუნქტებით და მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას 5 დღის ვადაში უნდა დაერთოს კენჭისყრაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის დასაბუთება, თუ რის საფუძველზე დაუჭირა ან არ დაუჭირა მან მხარი ასეთ გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების ასლი გადაწყვეტილების მიღებისთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დასაბუთებებთან ერთად გადაეცემა მოსამართლეს.

20. თუ კენჭისყრის შედეგად, ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება ვერ იქნა მიღებული, მოსამართლე ჩვეულებრივ აგრძელებს უფლებამოსილებების განხორციელებას. ამასთან, შეფასების ანგარიშები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დასაბუთებები და მოსამართლის შეფასების პროცესში მოპოვებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია თან დაერთვება მოსამართლის პირად საქმეს.

21. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ამ მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მოსამართლეს, აღნიშნულ პუნქტში მითითებული ვადის განმავლობაში, შეუნარჩუნდება ხელფასის 1/3.“;

ზ) 21-ე პუნქტის შემდეგ დაემატოს 22-ე პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. მოსამართლის შეფასების ანგარიშები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების დასაბუთებები საჯარო ინფორმაციაა და ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს ისინი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესით.“.

14. 36^5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლეს უფლება აქვს, ამ კანონის 35-ე მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით, 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში, თუ მიაჩნია, რომ:

ა) საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი (წევრები) მიკერძოებული იყო (იყვნენ);

ბ) საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის (წევრების) მიდგომა დისკრიმინაციული იყო;

გ) შემფასებელმა გადაამეტა მისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რის შედეგადაც დაირღვა შესაფასებელი მოსამართლის უფლებები ან საფრთხე შეექმნა სასამართლოს დამოუკიდებლობას;

დ) ინფორმაცია, რომელიც საფუძვლად დაედო შეფასებას, არსებითად მცდარია, რის დამადასტურებლადაც შესაფასებელმა მოსამართლემ შესაბამისი მტკიცებულებები წარადგინა;

ე) შეფასება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურის დარღვევით განხორციელდა, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საბოლოო შედეგზე.";

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ კანონის 35-ე მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით, 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება.".

15. 36^6 მუხლის მე-20 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. საკვალიფიკაციო პალატა იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით ან 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის „ა"ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე;

ბ) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით ან 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის „ა"ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.".

16. 36^7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 36^7. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების მიღების შედეგი

1. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ კანონის 35-ე მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით, 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების გათვალისწინებით, ხელახლა მსჯელობს იმავე საკითხზე და საკვალიფიკაციო პალატის გადაწყვეტილების ასლის მიღებიდან 2 კვირის ვადაში, ამ კანონის 35-ე მუხლით ან 36^4 მუხლით დადგენილი წესით განმეორებით იღებს 35-ე მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით, 36^4 მუხლის მე-17 პუნქტის „ა"ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო ხელახლა ახდენს მომჩივანი კანდიდატის შეფასებას ხელახლა ახდენს, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანონის 35-ე

მუხლის მე-12 - მე-13 პუნქტებით, 36[4] მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ხელახლა იღებს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს ან/და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წევრის (წევრების) გარეშე, რომლის მიერ ამ კანონის 36[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტების დარღვევის გამო გააუქმა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში, კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას დაგროვებულ ქულათა ჯამი და კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საჭირო კვორუმი გამოითვლება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრთა იმ რაოდენობიდან, რომელიც დარჩება ასეთი წევრის (წევრების) გამოკლების შედეგად. ასევე, საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ ხელახალი გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო კვორუმი გამოითვლება წევრის (წევრთა) გამოკლების შემდეგ საბჭოს წევრთა დარჩენილი რაოდენობიდან.

3. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს მიერ ამ კანონის 35-ე მუხლის 11[1] პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტების ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ 36[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტების დარღვევა, რასაც შედეგად მოჰყვა უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინების გაუქმება, იწვევს ამ კანონით ან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ასეთი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განმეორებითი გადაწყვეტილება საჩივრდება ამ კანონის 36[5] მუხლით დადგენილი წესით.

5. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატა საჩივარს განიხილავს ამ კანონის 36[6] მუხლით დადგენილი წესით და გამოაქვს გადაწყვეტილება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ხელმეორე გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ან გაუქმების თაობაზე. საკვალიფიკაციო პალატის ამ მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

6. უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატის მიერ ამ კანონის 36[4] მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ქვეპუნქტით ან მე-18 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში მოსამართლე ჩვეულებრივ აგრძელებს სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას. ასეთ შემთხვევაში მოსამართლის საქმის მასალები თან დაერთვება მის პირად საქმეს.“.

17. 37-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

18. 41-ე მუხლი ამოღებულ იქნეს.

19. 42-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააპელაციო სასამართლოს და რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ კანონით დადგენილ შემთხვევებში და ამ კანონით დადგენილი წესით.“.

20. 43-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ^{1}“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ^{1}) მოსამართლის საქმიანობის უარყოფითი შეფასება;“;

ბ) 2^{2} პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^{3} და 2^{4} პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^{3}. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ^{1}“-ით გათვალისწინებული შემთხვევისა, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ გამოაქვს კენჭისყრის გარეშე, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოებისა და შესაბამისი მტკიცებულების ცნობად მიღების საფუძველზე.

2^{4}. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ^{1}“-ით გათვალისწინებულ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ გამოაქვს ამ კანონის 36^{4} მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით, ხოლო 36^{4} მუხლის მე-17 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, - ამ კანონით დადგენილი გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ, თუ ძალაში დარჩა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ.“.

21. 45-ე მუხლს მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2^{1} პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^{1}. მოსამართლე ასევე ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმეთა განხილვისაგან და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ამ კანონის 36^{4} მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ – „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.“.

22. 47-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო შედგება 15 წევრისგან. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 8 წევრს ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანო - საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, 5 წევრს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს პარლამენტი, ხოლო 1 წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. უზენაესი სასამართლოს

თავმჯდომარე თანამდებობრივად არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს - საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრები, რომელთაგან 5 წევრი წარმოადგენს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებს, 2 წევრი - სააპელაციო სასამართლოებს და 1 წევრი - საქართველოს უზენაეს სასამართლოს.“;

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს 3^1 – 3^7 პუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელების უფლება აქვთ მოსამართლეთა ასოციაციას და არანაკლებ 5 ისეთი მოსამართლისგან შემდგარ ჯგუფს, რომელიც არ არის გაწევრიანებული რომელიმე მოსამართლეთა ასოციაციაში. თითოეულ მოსამართლეთა ასოციაციას ან/და 5 მოსამართლისგან შექმნილ ჯგუფს შეუძლია დაასახელოს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის იმდენი კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაც არსებობს მოცემულ შემთხვევაში.

3^2. დასახელებული კანდიდატების სია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს უნდა წარედგინოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მოწვევამდე არაუგვიანეს 15 დღით ადრე. სიას თან უნდა დაერთოს ინფორმაცია თითოეული კანდიდატის შესახებ. კანდიდატების სია და თანდართული ინფორმაცია ქვეყნდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

3^3. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ისმენს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების გამოსვლებს. თითოეულ კანდიდატს შეუძლია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის წინაშე წარდგეს 10 წუთიანი გამოსვლით, რის შემდეგადაც კანდიდატი პასუხობს კონფერენციის მონაწილეთა კითხვებს. კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, თითოეულ მოსამართლეთა ასოციაციას ან არანაკლებ 5 მოსამართლისგან შემდგარ ჯგუფს, რომელმაც წარადგინა კანდიდატი (კანდიდატები), შეუძლია კონფერენციის წინაშე წარდგეს 10 წუთიანი გამოსვლით. გამოსვლების დასრულების შემდეგ ტარდება ფარული კენჭისყრა.

3^4. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე თითოეულ მოსამართლეს თითოეულ ვაკანსიასთან დაკავშირებით აქვს მხოლოდ ერთი ხმა.

3^5. ბიულეტენში ცალ-ცალკე უნდა იყვნენ მითითებულნი ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს კვოტით ასარჩევი კანდიდატები. ბათილია ბიულეტენი, რომელშიც:

ა) არ არის რეგისტრატორის ხელმოწერა და ბეჭედი;

ბ) არ არის შემოხაზული არცერთი კანდიდატი;

გ) შეუძლებელია დადგენა იმისა, თუ ვის მისცა ხმა პირმა, ვინც შეავსო ბიულეტენი;

დ) შემოხაზულია არსებულ ვაკანსიებზე მეტი რაოდენობის კანდიდატი;

ე) შემოხაზული კანდიდატების რაოდენობა აღემატება თითოეული ინსტანციის სასამართლოს კვოტის შესაბამისი ვაკანსიების რაოდენობას.

3^6. არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ნამდვილი ხმების ორ მესამედს.

3^7. თუ კენჭისყრის პირველი ტურის შემდეგ კიდევ დარჩა ვაკანსია, მის შესავსებად, პირველი კენჭისყრის დღიდან არანაკლებ ერთი და არაუმეტეს ორი კვირის ვადაში, ტარდება მეორე ტური, რომელშიც გადადის პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე, დარჩენილ ვაკანსიაზე (ვაკანსიებზე) ორჯერ მეტი რაოდენობის კანდიდატი. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს ნამდვილი ხმების სამ მეხუთედს. თუ მეორე ტურის შემდეგ კვლავ დარჩა ვაკანსია, მის შესავსებად მოიწვევა ახალი კონფერენცია და კანდიდატების წარდგენა ხდება თავიდან.“;

დ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი შეიძლება იყოს მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლე, რომელსაც აქვს მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი, სასამართლოს თავმჯდომარე ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.“.

23. 48-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტს „ლ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „მ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მ) 34^3 მუხლის 12^2 პუნქტით ან 36^7 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული დარღვევის ჩადენა;“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისად საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს პრეზიდენტი. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“–„ზ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს პრეზიდენტი ასეთი გარემოების არსებობის შესახებ ინფორმაციას იღებს ცნობად, გადაწყვეტილების მიღების გარეშე. ამ მუხლის პირველი პუნქტის „თ“–„მ“ ქვეპუნქტებში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობისას საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ან საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია, მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტით დადგენილი წესით, კენჭს

უყრის გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტი იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.“.

24. 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

25. 50-ე მუხლის მე-3 - მე-4 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

26. 51-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს 4 წლის ვადით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეთა ორი მესამედით ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მის მიერ არჩეულ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთაგან. თუ მდივნის თანამდებობაზე წარდგენილმა ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა, მაშინ გაიმართება მეორე ტური, რომელშიც გადავა პირველ ტურში საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეთა ორი მესამედის მხარდაჭერას. თუ ვერცერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ასეთ მხარდაჭერას, გამარჯვებულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელიც მიიღებს კონფერენციაზე დამსწრე მოსამართლეთა უმრავლესობის მხარდაჭერას. ასეთ შემთხვევაში მდივნის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 1 წლით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა.“.

27. 51[1] მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51[1]. დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის სამსახური“;

ბ) პირველი - მე-2 და 2[1] პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსამართლის სავარაუდო დისციპლინური გადაცდომის ობიექტური, მიუკერძოებელი და სრულყოფილი გამოკვლევის ჩატარების, მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემისა და დისციპლინური დევნის განხორციელების მიზნით იქმნება დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორის სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი სასამართლო ინსპექტორი (ქვემოთ „დამოუკიდებელი ინსპექტორი“).

2. დამოუკიდებელ ინსპექტორს კონკურსის საფუძველზე, 5 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, ირჩევს საქართველოს

პარლამენტი. კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

2^1. დამოუკიდებელი ინსპექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით, იღებს საქართველოს პარლამენტი.“;

გ) 2^2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-6 პუნქტის „ი^1“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) მე-7 - მე-8 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-10 - მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის აპარატის თანამშრომლები ინიშნებიან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დისციპლინურ სამართალწარმოებაზე ზეგავლენის მოსახდენად დამოუკიდებელი ინსპექტორის საქმიანობაში ჩარევა დაუშვებელია. დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია ასეთი ჩარევის შესახებ აცნობოს საქართველოს პარლამენტს.

12. წელიწადში ერთხელ დამოუკიდებელი ინსპექტორი გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ინფორმაცია 4 თვეში ერთხელ მაინც პროაქტიულად ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის ვებგვერდზე.“.

28. 51^1 მუხლის შემდეგ დაემატოს 51^2 მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 51^2. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო

1. მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცესში მონაწილეობის, მოსამართლეთა პერიოდული შეფასებისა და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსთან იქმნება საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო.

2. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო შედგება 7 წევრისაგან, რომლებსაც 4 წლის ვადით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

3. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) ამ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადის ამოწურვა;

გ) წარმდგენი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მისი საბჭოს წევრად წარდგენის გამოთხოვა;

დ) წელიწადში 4 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობა;

ე) მოვალეობის სისტემატური შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;

ვ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

ზ) მის მიმართ საბოლოოდ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

თ) გარდაცვალება;

4. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილებას, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით იღებს საქართველოს პარლამენტი.

5. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო უფლებამოსილია:

ა) ამ კანონით დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს, რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის პროცესში;

ბ) მიიღოს ამ კანონით დადგენილი წესით მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაციის მოძიება მოსამართლეობის კანდიდატების შესახებ;

გ) ამ კანონით დადგენილი წესით, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეთა პერიოდული შეფასების მიზნით, შეარჩიოს მოსამართლის შემფასებლები;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია რაც დაკავშირებულია მის მიერ მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევისა და შეფასების პროცესთან;

ე) განახორციელოს ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

6. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრი უფლებამოსილია საბჭოს მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით თავისი განსხვავებული მოსაზრება წერილობით წარადგინოს, რაც თან დაერთვება საბჭოს შესაბამის გადაწყვეტილებას.

7. საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრის ხელფასი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ხელფასის ოდენობის ტოლია“.“

29. X თავის შემდეგ დაემატოს X^1 თავი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„X^1. მოსამართლეთა ასოციაციები

მუხლი 62^1. მოსამართლეთა ასოციაცია

1. მოსამართლეთა ასოციაცია არის საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა პროფესიული ორგანიზაცია, რომლის მიზანია იზრუნოს სასამართლოს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, აგრეთვე შიდა და გარე გავლენებისგან მოსამართლეთა ინდივიდუალური დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მისი წევრი მოსამართლეების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. მოსამართლეთა ასოციაცია ახორციელებს ამ კანონით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლებამოსილებებს. ამ კანონის მიზნებისათვის, მოსამართლეთა ასოციაცია შეიძლება იყოს ან არ იყოს იურიდიული პირი. მოსამართლეთა ასოციაციის იურიდიულ პირად რეგისტრაცია ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების ხუთ ან მეტ მოსამართლეს უფლება აქვს დააფუძნოს მოსამართლეთა ასოციაცია. მოსამართლეთა ასოციაციის წევრობა თავისუფალია. თითოეულ მოსამართლეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაწევრიანდეს ან არ გაწევრიანდეს მოსამართლეთა ასოციაციაში, გავიდეს მოსამართლეთა ასოციაციიდან ან/და გაწევრიანდეს სხვა მოსამართლეთა ასოციაციაში. მოსამართლეს უფლება აქვს ერთდროულად იყოს მხოლოდ ერთი მოსამართლეთა ასოციაციის წევრი. მოსამართლეთა ასოციაციაში სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება გაწევრიანდეს ყოფილი მოსამართლეც.

3. მოსამართლეთა ასოციაციის დაფუძნება ხორციელდება ასოციაციის დამფუძნებელ კრებაზე, რომელზეც კრებაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით ირჩევენ ასოციაციის თავმჯდომარეს, გამგეობას და სხვა ორგანოებს, რომლებსაც ითვალისწინებს მოსამართლეთა ასოციაციის წესდება. ამ კანონის მიზნებისათვის, მოსამართლეთა ასოციაციის რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი.

4. ამ კანონის შესაბამისად მოსამართლეთა ასოციაციის რეგისტრაციის მიზნით, მოსამართლეთა ასოციაციის თავმჯდომარე მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს წარუდგენს განცხადებას მოსამართლეთა ასოციაციის რეგისტრაციის თაობაზე, რომელსაც თან უნდა დაერთოს მოსამართლეთა ასოციაციის წესდება, მოსამართლეთა ასოციაციის დამფუძნებელი კრების ოქმი და მოსამართლეთა ასოციაციის წევრთა სია. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი მოსამართლეთა ასოციაციის რეგისტრაციას ახორციელებს განცხადების შეტანიდან 24 საათის განმავლობაში. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსამართლეთა ასოციაციის ხმის უფლების მქონე წევრთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციულ კომიტეტს არა აქვს უფლება უარი თქვას მოსამართლეთა ასოციაციის რეგისტრაციაზე.

მუხლი 62^2. მოსამართლეთა ასოციაციის უფლებამოსილება

1. მოსამართლეთა ასოციაციის უფლებამოსილება, რომელიც მას ამ კანონიდან გამომდინარე გააჩნია, წარმოიშვება საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის მიერ მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

2. ამ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების გარდა მოსამართლეთა ასოციაციას გააჩნია ყველა უფლება და მოვალეობა, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.“.

30. 62-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის უფლებამოსილების ვადაა 3 წელი. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, სასამართლოს კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. ადმინისტრაციული კომიტეტის 3 წევრს ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია დამსწრე წევრთა ორი მესამედით. ადმინისტრაციული კომიტეტის დანარჩენ 6 წევრს ნიშნავენ მოსამართლეთა ასოციაციები. თითოეულ მოსამართლეთა ასოციაციას შეუძლია დანიშნოს ადმინისტრაციული კომიტეტის ერთი წევრი. თუ მოსამართლეთა ასოციაციების რაოდენობა 6-ზე მეტია, ადმინისტრაციული კომიტეტის თითო წევრის დანიშვნის უფლება აქვს 6 მოსამართლეთა ასოციაციას, რომლებსაც სხვებთან შედარებით მეტი წევრი ჰყავთ. თუ მოსამართლეთა ასოციაციების რაოდენობა 6-ზე ნაკლებია, დამატებით თითო ან მეტ წევრს, რიგითობის წესით, ნიშნავენ არსებული მოსამართლეთა ასოციაციები, სანამ წევრთა რაოდენობა 6-მდე არ შეივსება. თუ მოსამართლეთა ასოციაცია (ასოციაციები) არ შექმნილა ან შექმნილი ასოციაცია (ასოციაციები) თავს იკავებს წევრის დანიშვნისაგან, ადმინისტრაციულ კომიტეტში ვაკანტურ ადგილს (ადგილებს) შეავსებს მოსამართლეთა კონფერენცია ამ პუნქტით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული კომიტეტი თავისი წევრებისგან, წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით, წევრის უფლებამოსილების ვადით, ირჩევს ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარეს. ადმინისტრაციული კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები და შეიმუშაოს აქტები საქართველოს საერთო სასამართლოების ადმინისტრირების საკითხებზე; აქტები დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას.“.

31. 66^3 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

ბ) მე-4 - მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. დამოუკიდებელი საბჭოს 3 წევრს, რომლებიც საერთო სასამართლოების სამივე ინსტანციიდან წარმოდგენილი მოსამართლეები არიან, ირჩევს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტით დადგენილი წესით. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეული წევრი არ შეიძლება იყოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრი, სასამართლოს თავმჯდომარე, ან სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე. დამოუკიდებელი საბჭოს 4 წევრს ირჩევს საქართველოს იუსტიციის

უმაღლესი საბჭო მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით და არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით. დამოუკიდებელი საბჭოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული წევრი უნდა იყოს პირი, რომელსაც კანონით დადგენილი წესით აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობა უკავია და საჯარო დაწესებულებაში არ მუშაობს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ასარჩევი წევრების კანდიდატების წარდგინების უფლება აქვთ შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკადემიურ საბჭოებს. დამოუკიდებელი საბჭოს თითოეული წევრის უფლებამოსილების ვადა 4 წელია. დამოუკიდებელი საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი. ერთი და იგივე პირი დამოუკიდებელი საბჭოს წევრად ზედიზედ შეიძლება არჩეულ იქნეს მხოლოდ ორჯერ.

5. დამოუკიდებელი საბჭოს თავმჯდომარეს თავის წევრთაგან, წევრის უფლებამოსილების ვადით, სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს დამოუკიდებელი საბჭო.“.

32. 66^4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში დამოუკიდებელი საბჭოს წევრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტებით დადგენილი წესით.“.

33. 66^{12} მუხლის მე-3 - მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სკოლაში მისაღები კონკურსის ჩატარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ მოსამართლეთა რაოდენობის თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

4. სკოლაში მისაღები კონკურსის წლის განმავლობაში დამატებით, სხვა დროს ჩატარების შესახებ დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილება უნდა გამოცხადდეს კონკურსის ჩატარებამდე 1 თვით ადრე მაინც.“.

34. 66^{15} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 66^{15}. სკოლაში მისაღებ იუსტიციის მსმენელთა საერთო რაოდენობა

სკოლაში მისაღები კონკურსის გამოცხადებამდე დამოუკიდებელი საბჭო, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დაადგენს სკოლაში მიმდინარე წელს ჩასარიცხი იუსტიციის მსმენელების მიერ სკოლაში სწავლის სრული კურსის დასრულების დროისათვის დასანიშნ მოსამართლეთა ვაკანსიების სავარაუდო რაოდენობას და დაამტკიცებს სკოლაში მისაღებ იუსტიციის

მსმენელთა საერთო რაოდენობას, რომელიც მოსამართლეთა ვაკანსიების სავარაუდო რაოდენობას 20%-ით უნდა აღემატებოდეს.“.

35. 66^{16} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 66^{16}. იუსტიციის მსმენელის სტატუსი

იუსტიციის მსმენელი არის პირი, რომელიც კონკურსის გავლის შედეგად, დამოუკიდებელი საბჭოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხა სკოლაში სასწავლებლად. იუსტიციის მსმენელს სკოლაში სწავლის პერიოდში გადაეცემა იუსტიციის მსმენელობის დამადასტურებელი მოწმობა.“.

36. 66^{30} მუხლის მე-3 - მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სკოლის დამამთავრებელ გამოცდას ატარებს კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან:

ა) უზენაესი სასამართლოს 1 მოსამართლე;

ბ) სააპელაციო სასამართლოს 2 მოსამართლე;

გ) სახელმწიფო უნივერსიტეტის 3 სამართლის პროფესორი;

დ) სკოლის დირექტორი.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ - „გ“ ქვეპუნქტებში მითითებულ კომისიის წევრებს ამტკიცებს დამოუკიდებელი საბჭო.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ კომისიის წევრს დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, „ბ“ ქვეპუნქტში მითითებულ კომისიის წევრებს - სააპელაციო სასამართლოების თავმჯდომარეები, ხოლო „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ წევრებს - სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორები.“.

37. 66^{33} მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამოუკიდებელი საბჭო შეფასებას ადგენს მის მიერ დამტკიცებული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.“.

38. 66^{43} მუხლის შემდეგ დაემატოს 66^{44} მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 66^{44}. საქმეთა განხილვისა და სხვა თანამდებობრივ უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილებული მოსამართლის იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მივლინება

ამ კანონის 36^{4} მუხლის მე-17 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის დირექცია ადგენს საქმეთა განხილვისა და სხვა თანამდებობრივ

უფლებამოსილებათა განხორციელებისაგან ჩამოცილებული მოსამართლის სპეციალურ საკვალიფიკაციო კურსს ასეთი მოსამართლის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად. ასეთი კურსის დასრულების შემდეგ დამოუკიდებელი საბჭო ამტკიცებს და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს სკოლის დირექციის მიერ შემუშავებულ სპეციალური საკვალიფიკაციო კურსის შეფასების ანგარიშს.“.

39. 75^2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75^2. დისციპლინური სამართალწარმოების ვადა

მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ მის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან ამ გადაცდომაზე დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებამდე გასულია 5 წელი.“.

40. 75^4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75^4. დისციპლინური სამართალწარმოების კონფიდენციალურობა

1. დისციპლინური სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალურია. იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც დისციპლინური სამართალწარმოება მიმდინარეობს, უფლება აქვს, მოითხოვოს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიისა და უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის სხდომების გასაჯაროება, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირები და საჯარო მოსამსახურეები ვალდებული არიან, დაიცვან ყველა იმ ინფორმაციის საიდუმლოება, რომელიც მათთვის დისციპლინური სამართალწარმოების დროს გახდა ცნობილი, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის, შეჩერების ან განახლების შესახებ დადგენილება, აგრეთვე ამ კანონის 75^{41} მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება საჩივრის (განცხადების) ავტორს და შესაბამის მოსამართლეს.

3. მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების და მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება, აგრეთვე ამ კანონის 75^{41} მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილებები მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება ასევე საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორს, თუ საერთო სასამართლოში აღარ განიხილება ის საქმე, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.“.

41. 75^6 – 75^7 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75^6. მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებისა და დისციპლინური საქმის გამოკვლევის უფლებამოსილება

მოსამართლის მიმართ დისციპლინურ სამართალწარმოებას იწყებს და დისციპლინური საქმის გამოკვლევას ახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორი.

მუხლი 75[7]. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება და დისციპლინური საქმის გამოკვლევა

1. დამოუკიდებელი ინსპექტორი მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის მიღების შემთხვევაში მისი მიღებიდან 2 თვეში იკვლევს მის საფუძვლიანობას. ამ პროცედურების განხორციელებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ეყრდნობა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს. გამოკვლევის ვადა შეიძლება 2 კვირით გაგრძელდეს ან/და შეჩერდეს გამოკვლევის შეუძლებლობის შემთხვევაში.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივრის, განცხადების ან სხვა ინფორმაციის გამოკვლევისას უშუალოდ გამოიყენოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მონაცემთა ელექტრონული ბაზა, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს მონაცემთა ელექტრონული ბაზა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ელექტრონული ბაზა. ამასთანავე, იგი უფლებამოსილია შემოწმებისას ინტერაქტიური ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მიმართვიდან 10 დღის ვადაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან გამოითხოვოს ადმინისტრაციული სახდელის დადებისა და ნასამართლობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო სახელმწიფო საზღვრის კვეთის, ავტოსატრანსპორტო საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის სარეგისტრაციო მონაცემები მოიძიოს უშუალოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ავტომატიზირებული საძიებო რესურსის მეშვეობით. დამოუკიდებელი ინსპექტორი ასევე უფლებამოსილია დასაბუთებული წერილით მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებით სხვა ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ, რომლის გაცემაზე გადაწყვეტილებას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იღებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. დისციპლინური საქმის გამოკვლევის პროცესში დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია წერილობითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას საჩივრის (განცხადების) ავტორს და იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური დევნა. დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მოითხოვოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაცია, დოკუმენტი და მასალა, მიიწვიოს სხვა პირი და მოისმინოს მისი ინფორმაცია. დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია განიხილოს იმ მოსამართლის შუამდგომლობა, რომლის მიმართაც მიმდინარეობს დისციპლინური საქმის გამოკვლევა, და მოსამართლეს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი ახსნა-განმარტება ჩამოართვას. მოსამართლეს უფლება აქვს, დისციპლინური საქმის გამოკვლევისას დამცველის დახმარებით ისარგებლოს. მას შეუძლია დამცველად მიიწვიოს ადვოკატი ან სხვა მოსამართლე, ან სხვა წარმომადგენელი.

4. დისციპლინური საქმის გამოკვლევა ობიექტურად, ყოველმხრივ და მიუკერძოებლად უნდა განხორციელდეს. შესწავლილი უნდა იქნეს მოსამართლის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები.

5. მოსამართლეს უფლება აქვს, განაცხადოს დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილება. აცილება დასაბუთებული უნდა იყოს. მოსამართლის შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ მოცემულ საქმეში დამოუკიდებელი ინსპექტორის მიუკერძოებლობისადმი ეჭვი საფუძვლიანია. ამავე საფუძვლის არსებობისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ვალდებულია თვითაცილება განაცხადოს. დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხს განიხილავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 3-წევრიანი კოლეგია, რომელიც წილისყრით შეირჩევა. მოსამართლის შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში დისციპლინური საქმის გამოკვლევას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი წესით გამოვლინდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აღნიშნული წევრის აცილების საკითხი ამ პუნქტის შესაბამისად გადაწყდება. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც განახორციელებს დამოუკიდებელი ინსპექტორისთვის ამ კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებებს, მონაწილეობას ვერ მიიღებს მოცემულ საქმეზე მოსამართლისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტაში. დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების საკითხის გადაწყვეტისთვის გამოყენებული ვადა არ ჩაითვლება დისციპლინური საქმის გამოკვლევის ვადაში.

6. დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

7. თუ დამოუკიდებელი ინსპექტორი დისციპლინური საქმის გამოკვლევის განხორციელებისას დარწმუნდება, რომ ამ საქმეში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, იგი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმართავს დასაბუთებული წარდგინებით აღნიშნული საქმის მასალების საქართველოს პროკურატურისათვის გადაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

8. დაუშვებელია ერთი და იმავე მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების განმეორებით დაწყება იმავე საფუძვლით, რომლითაც უკვე განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.

9. დისციპლინური სამართალწარმოების დროს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მოხელეთა უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით.“.

42. 75^8 მუხლი ამოღებულ იქნეს.

43. 75^9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75^9. დისციპლინური საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანება

დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია თავისი დადგენილებით ერთ წარმოებად გააერთიანოს ერთი მოსამართლის მიმართ სხვადასხვა საფუძვლით წარმოებული ორი ან ორზე მეტი დისციპლინური საქმე.“.

44. 75^{10} მუხლი ამოღებულ იქნეს.

45. 75^{11} მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების პერიოდი არ ჩაითვლება ამ კანონით დისციპლინური საქმის გამოკვლევისათვის დადგენილ ვადაში.“.

46. 75^{12} მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის გადაწყვეტილება ეცნობება შესაბამის მოსამართლეს და ქვეყნდება დამოუკიდებელი ინსპექტორის ვებგვერდზე ამ მოსამართლისა და დისციპლინურ საქმეში მონაწილე სხვა პირების მაიდენტიფიცირებელი მონაცემების გარეშე. თუ ამ კანონის 75^{4} მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად აღნიშნულმა მოსამართლემ დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გასაჯაროება მოითხოვა, მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ამ მოსამართლის მაიდენტიფიცირებელი მონაცემებით ქვეყნდება.“.

47. 75^{13} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75^{13}. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემა

1. დისციპლინური საქმის გამოკვლევის დასრულების შემდეგ, დამოუკიდებელი ინსპექტორი, ამ კანონის 75^{7} მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საერთო ვადის ფარგლებში, იღებს დასაბუთებულ დადგენილებას მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

2. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემას შეიძლება საფუძვლად დაედოს ის გარემოებები, რომლებიც მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ საჩივარში, განცხადებაში ან სხვა ინფორმაციაში მითითებული არ ყოფილა და რომლებიც წინასწარი შემოწმების დროს გამოვლინდა.

3. ამ კანონის 36^{4} მუხლის მე-17 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილებას, მოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით და არამოსამართლე წევრების სრული შემადგენლობის უმრავლესობით იღებს საქართველოს

იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ასეთ შემთხვევაში ამ კანონის 75^{6}-75^{7} და 75^{11}-75^{12} მუხლები არ გამოიყენება.“.

48. 75^{14} მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 75^{14}. დადგენილება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ

1. მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის, ან ამ კანონის 75^{13} მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დასაბუთებულ დადგენილებაში გადმოცემული უნდა იყოს მოსამართლისათვის წაყენებული დისციპლინური ბრალდების შინაარსი. ამ დადგენილების მიღებისას დამოუკიდებელი ინსპექტორი ან იუსტიციის უმაღლესი საბჭო ეყრდნობა ალბათობის მაღალი ხარისხის სტანდარტს.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის დროს დისციპლინურ ბრალდებას მხარს უჭერს დამოუკიდებელი ინსპექტორი. ამ კანონით დადგენილი წესით დამოუკიდებელი ინსპექტორის აცილების ან თვითაცილების შემთხვევაში საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის დროს დისციპლინური ბრალდების მხარდასაჭერად, თავის წევრთაგან, ნიშნავს თავის წარმომადგენელს.

3. დადგენილების ასლი მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში, საქმის მასალების ასლებთან ერთად გადაეცემა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს.

4. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს, დადგენილების ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში დამოუკიდებელ ინსპექტორს ან საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს წარუდგინოს მისი დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დამოუკიდებელი ინსპექტორის ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დადგენილებაზე წერილობითი შეპასუხება და სათანადო მტკიცებულებები. მოსამართლის მიერ შეპასუხების წარდგენიდან ან შეპასუხების წარდგენისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 3 დღეში დისციპლინური საქმის მასალები მოსამართლის მიერ წარდგენილ დოკუმენტებთან ერთად ეგზავნება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.“.

49. 75^{29} მუხლის:

ა) პირველი - მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს, დამოუკიდებელ ინსპექტორს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს უფლება აქვს, განაცხადოს სადისციპლინო კოლეგიის წევრის ან სადისციპლინო კოლეგიის მთელი შემადგენლობის აცილება, თუ არსებობს სადისციპლინო კოლეგიის წევრის დისციპლინური საქმისაგან ჩამოცილების ამ კანონის 75^{28} მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. იგი ვალდებულია დაასახელოს აცილების მოტივი და დაასაბუთოს აცილება.

დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს ასევე უფლება აქვს, განაცხადოს დამოუკიდებელი ინსპექტორის ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს იმ წარმომადგენლის აცილება, რომელიც მის საქმეზე დისციპლინური ბრალდების მხარდამჭერად არის დანიშნული.

2. შუამდგომლობას სადისციპლინო კოლეგიის, მისი წევრის, დამოუკიდებელი ინსპექტორის ან ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის აცილების შესახებ განიხილავს სადისციპლინო კოლეგია სათათბირო ოთახში.

3. აცილების შესახებ შუამდგომლობა უნდა დაკმაყოფილდეს, თუ სადისციპლინო კოლეგიის წევრის, კოლეგიის მთელი შემადგენლობის, დამოუკიდებელი ინსპექტორის ან ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის მიუკერძოებლობისადმი ეჭვი საფუძვლიანია.

4. სადისციპლინო კოლეგიის წევრის, დამოუკიდებელი ინსპექტორის ან დისციპლინური ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის მიერ წარსულში დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის მიერ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა არ ჩაითვლება სადისციპლინო კოლეგიის წევრის, დამოუკიდებელი ინსპექტორის ან დისციპლინური ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის მიკერძოებისა და აცილების საფუძვლად.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სადისციპლინო კოლეგიის, დამოუკიდებელი ინსპექტორის ან ბრალდების მხარდამჭერად დანიშნული წარმომადგენლის აცილების შემთხვევაში საქმის განხილვის გადადების ვადა არ ჩაითვლება დისციპლინური სახდელის დაკისრებისათვის ამ კანონით დადგენილ ვადაში.“.

50. 75^{30} მუხლი ამოღებულ იქნეს.

51. 75^{31} მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ მოსამართლის მიმართ არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და არ დადგება გამამტყუნებელი განაჩენი, გარდა ამ კანონის 75^{42} მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ სადისციპლინო კოლეგია განაახლებს შეჩერებულ დისციპლინური საქმის წარმოებას.“.

52. 75^{32} მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური საქმის განხილვის ადგილი, დღე და საათი დროულად უნდა აცნობოს დამოუკიდებელ ინსპექტორს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წარმომადგენელს, აგრეთვე იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც წარმოებს დისციპლინური საქმე.“.

53. 75[33] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მოხსენების მოსმენის შემდეგ სიტყვა ეძლევათ მხარეებს: ჯერ – დამოუკიდებელ ინსპექტორს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს დისციპლინური ბრალდების წასაყენებლად, შემდეგ – დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს წაყენებულ ბრალდებაზე საპასუხოდ. დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს უფლება აქვს, დამცველის დახმარებით ისარგებლოს. მას შეუძლია დამცველად მიიწვიოს ადვოკატი ან სხვა მოსამართლე, ან სხვა წარმომადგენელი.“.

54. 75[35] მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დისციპლინური საქმის განხილვისას სადისციპლინო კოლეგიის სხდომაში დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის, დამოუკიდებელი ინსპექტორის ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობა სავალდებულოა. თუ რომელიმე მხარე არ გამოცხადდა სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე, სადისციპლინო კოლეგია ვალდებულია გადადოს დისციპლინური საქმის განხილვა არაუმეტეს 2 კვირით. ეს ვადა არ ჩაითვლება სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური საქმის განხილვის 2-თვიან ვადაში.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლე მძიმე ავადმყოფობის ან სხვა დაუძლეველი ძალის გამო ვერ ცხადდება სადისციპლინო კოლეგიის სხდომაზე, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია თავისი გადაწყვეტილებით შეაჩეროს დისციპლინური საქმის წარმოება 3 თვემდე ვადით. თუ დისციპლინური საქმის წარმოების შეჩერების საფუძველი 3 თვის ვადაში არ აღმოიფხვრება, სადისციპლინო კოლეგია უფლებამოსილია ეს საქმე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის დაუსწრებლად განიხილოს.“.

55. 75[36] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დამოუკიდებელ ინსპექტროს ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელს უფლება აქვს, დისციპლინური საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე (სადისციპლინო კოლეგიის სათათბირო ოთახში გასვლამდე) მოუხსნას მოსამართლეს მისთვის წაყენებული დისციპლინური ბრალდება. ამ შემთხვევაში სადისციპლინო კოლეგია ვალდებულია შეწყვიტოს დისციპლინური საქმის განხილვა, განხილვის ეტაპის მიუხედავად, და, შესაბამისად, – დისციპლინური საქმე.“.

56. 75[42] მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) დამოუკიდებელმა ინსპექტორმა ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელმა მოსამართლეს დისციპლინური ბრალდება მოუხსნა;“.

57. 75^{50} მუხლს პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს 1^{1} პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1^{1}. ამ მუხლის პირველი პუნქტის დებულების მიუხედავად, თუ მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ იქნა ამ კანონის 75^{13} პუნქტის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, თუ არ არსებობს გარემოება, რომელიც შესაძლებელს გახდის მოსამართლის მიმართ ნაკლებად მკაცრი სახდელის გამოყენებას.“.

58. 75^{52} მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. დისციპლინური საქმის შესახებ სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების ასლები მისი მიღებიდან 5 დღის ვადაში ეგზავნება იმ მოსამართლეს, რომლის მიმართაც იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება, დამოუკიდებელ ინსპექტორს, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას. აღნიშნული გადაწყვეტილების ასლები იმავე ვადაში ეგზავნება საჩივრის (განცხადების/შეტყობინების) ავტორს, თუ საერთო სასამართლოში აღარ განიხილება ის საქმე, რომელთან დაკავშირებითაც განხორციელდა დისციპლინური სამართალწარმოება.“.

59. 75^{54} მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამოუკიდებელი ინსპექტორი ან საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენელი.“.

მუხლი 2

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით თანამდებობაზე გამწესებული მოსამართლის შეფასების პროცედურა განხორციელდეს და მისი უვადოდ გამწესების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ამ კანონის ამოქმედებამდე მოქმედი რედაქციის შესაბამისად.

3. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების იმ მოსამართლეების შეფასება, რომელთა თანამდებობაზე გამწესებიდან 5 წელი არ არის გასული, ჩატარდეს აღნიშნული 5 წლიანი ვადის გასვლისთანავე, ხოლო

იმ მოსამართლეების შეფასება, რომელთა თანამდებობაზე გამწესებიდან გასულია 5 წელი, ჩატარდეს ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმავლობაში.

4. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს პარლამენტმა დადგენილებით დაამტკიცოს იმ საერთაშორისო ორგანიზაციების ნუსხა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარადგინონ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრობის კანდიდატები. ამ ორგანიზაციების მიერ საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენიდან 2 თვის ვადაში საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს საერთაშორისო ექსპერტთა საზოგადოებრივი საბჭოს წევრების არჩევა.

5. ამ კანონის ამოქმედებისთანავე უფლებამოსილება შეუწყდეს დამოუკიდებელ ინსპექტორს. დამოუკიდებელი ინსპექტორის არჩევამდე ყოფილმა დამოუკიდებელმა ინსპექტორმა გააგრძელოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მოვალეობის შესრულება. საქართველოს პარლამენტმა, ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში, აირჩიოს დამოუკიდებელი ინსპექტორი ამ კანონით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით.

6. ამ კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციამ და იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ აირჩიონ იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრები ამ კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**